ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „წმიდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლის “ მიერ თვითშეფასების, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და ავტორიზაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ დაწესებულების საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობაში განთავსებულია 68 საკლასო ოთახი, 13 უცხო ენის კაბინეტი, 3 ლაბორატორია (IT, ფიზიკა, ქიმია-ბიოლოგია) და 1 კერამიკის სახელოსნო. რესურს ოთხი, საიზოლაციო და ადმინისტრაციის კაბინეტები. საკლასო ოთახები აღჭურვილია პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე კატეგორიის ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით. ვიზუალური დათვალიერებით სკოლის საკლასო ოთხებში სულ განთავსებულია მოსწავლის 1353 ერთეული მერხი და სკამი. ადგილზე დასაწყობებულია 315 ერთეული მერხის კომპლექტი (სულ 1668). დოკუმენტალური მასალის შესწავლით ირკვევა, რომ 14.05.2016 წლის ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად შპს „არძანიდან“ სკოლას გადაეცა 1093 ერთეული მოსწავლის მერხი, 360 ერთეული მოსწავლის სკამი. 30.07.2021 წლის შეთანხმების საფუძველზე შპს „საგანმანათლებლო საქმიანობის ცენტრისგან“ გადაეცა 1367 ერთეული მოსწავლის მერხი. ყველა საკლასო ოთახში არის დაფა, ინტერნეტ ქსელში ჩართული მონიტორი, მასწავლებლის მაგიდა სკამით, კარადა-თაროები და თვალსაჩინოებები. დერეფნებში განთავსებულია მოსწავლეთა პირადი კარადები. სკოლის სურვილიდან გამომდინარე, ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, მოემსახუროს 1500 მოსწავლეს, შესაძლებელია განხორციელდეს არაპანდემიურ სიტუაციაში, რადგან საკლასო ოთახების მაქსიმალურად დატვირთვის (კლასში 25 მერხის)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პირობებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება ინვენტარის შესყიდვისა და გადაცემის დოკუმენტები
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა ზრუნავს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე. სკოლაში ფუნქციონირებს ცურვის, ჭადრაკის და ცეკვის სავალდებულო წრეები. სკოლის აქვს მულტიფუნქციური სპორტული დარბაზი გოგონებისა და ბიჭების გასახდელებით. გარდა ამისა, შპს „აკვატიკ მენეჯმენტ გრუპთან“ გაფორმებულია ხელშეკრულება საცურაო აუზის ქირავნობის შესახებ. ხელშეკრულების მიხედვით სკოლა ქირაობს ორ - დიდ და პატარა საცურაო აუზებს. ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, დიდ აუზს 09-:00-15:55 საათებში, ხოლო პატარა აუზს 09:00-16:30 საათებში. აუზები მდებარეობენ სკოლის შენობაში (შენობა N1 - საკადასტრო გეგმაზე). ხელშეკრულება მოქმედებს 2022 წლის 20 ივნისის ჩათვლით. სკოლას შეძენილი აქვს ბურთები, ჭადრაკის დაფები, ტატამი, კალათბურთის ბადეები, საცურაო სამკლაურები და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება სასაქონლო ზედნადებები
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სტანდარტული (208 დასახელების) საბუნებისმეტყველო ლაბორატორიული აღჭურვილობა. გადრა ამისა სკოლას შპს „არძანისგან“ გადაცემული აქვს ლაბორატორიული აღჭურვილობის გარკვეული რაოდენობა ფიზიკის ლაბორატორია განთავსებულია ცალკე, ქიმია/ბიოლოგიის ლაბორატორია ცალკე. ქიმია/ბიოლოგიის ლაბორატორია აღჭურვილია ცდებისა და ექსპერიმენტების ჩასატარებელი მაგიდებით, ლაბორატორიის ოთახებს აქვს ფანჯრები, რაც ბუნებრივი განათება/განიავების საშუალებას იძლევა. სკოლაში მუდმუვად მიმდინარეობს ლაბორატორიის შევსება ინვენტარითა და ქიმიური რეაქტივებით. სკოლას შემუშავებული აქვს ლაბორატორიით სარგებლობის წესი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება ლაბორატორიული აღჭურვილობის შესყიდვისა და გადაცემის დოკუმენტები
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო. კერძოდ, ნათელი საკლასო ოთახები, ელექტროენერგიის და წყლის მიწოდების უწყვეტი სისტემები სკოლას აქვს საქალაქო ქსელიდან. ქვეიჯარის ხელშეკრულების თანახმად, სკოლამ თავად უნდა გადაიხადოს კომუნალური გადასახადები. სკოლამ წარმოადგინა კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის ყველა შენობაში დამონტაჟებულია გათბობის სისტემა, ყველა შენობაში არის სველი წერტილები: გოგონების, ბიჭების, თანამშრომლებისთვის და სსსმ პირებისთვის. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ -ჰიგიენური ნორმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრები
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „წმიდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლის“ პირველ სართულზე განთავსებულია და ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკართან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. შემუშავებულია და თვალსაჩინო ადგილას გათავსებულია ბიბლიოთეკის დებულება. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები და სამუშაო განრიგი გამოკრულია შესასვლელში. ბიბლიოთეკას აქვს ანბანური და ელექტრონული კატალოგი. საინვენტარო წიგნის მიხედვით ბიბლიოთეკაში სულ 2265 წიგნადი ერთეული, მათ შორისაა სკოლის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, მეთოდური ლიტერატურა და პერიოდიკა. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. სკოლას შეძენილი აქვს პროგრამა „open Bibilio“ (https://stgeorgesschool.edupage.org/a/-18) და ასევე ხელშეკრულება აქვს გაფორმებული „ელვა,ჯი“-სთან პერიოდულ გამოცემებთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ბიბლიოთეკაში გამოკრულია ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი მასალები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; ხელშეკრულება „ელვა-ჯი“ სთან. შპს „წმიდა გიორგის სახელობის საეთაშორისო სკოლის“ „ბიბლიოთეკის დებულება“. საინვენტარო წიგნით წიგნების შესყიდვა/ჩუქების დამადასტურებელი დოკუმენტაცია
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის. N1 შენობის შესასვლელში და შიგნით კიბეებზე არის პანდუსები. N1 და N2 შენობები საერთო შესასვლელითა და გაერთიანებული დერეფნებით სარგებლობენ. N6 შენობაში (იხ. საკადასტრო გეგმა), ფუნქციონირებს ლიფტი, რომელთა სარგებლობა შეუძლია სსსმ მოსწავლეებს. სხვა მოსწავლეები სარგებლობენ კიბით. სკოლის ყველა შენობაში არის ადაპტირებული სველ წერტილები სსსმ პირებისთვის. გარდა ამისა სკოლას აქვს რესურსოთახი და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები სსსმ მოსწავლეებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც განთავსებულია 25 კომპიუტერი. გარდა ამისა საკლასო ოთახებში არის 15 კომპიუტერი, საოფისე 8 კომპიუტერი, ხოლო ამის გარდა სკოლაში არის კიდევ 44 ლეპტოპი. კომპიუტერები და ლეპტოპები გადაცემულია ქვეიჯარის ხელშეკრულებასთან ერთად (30.07.20210 და 11 მათგანი შესყიდვის დოკუმენტაციით შპს „არძანისგან“ (14.05.2016) ყველა საკლასო ოთხში დამონტაჟებული მონიტორები, რომლებიც ჩართულია ინტერნეტში და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ლეპტოპით ან მობილურით დაკავშირება. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს სკოლის ვებ-გვერდი http://www.sgschool.ge/ და https://stgeorgesschool.edupage.org/, ელ.ფოსტა info@stgeorgesschool.ge და st.georgesschool.info@gmail.com სკოლის ვებ-გევრდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ, სკოლის შინაგანაწესი, ბიბლიოთეკის შესახებ ვებ-გვერდის დიზანიში ჩაშენებულია ელ. ჟურნალის ფანჯარა. სკოლას შესყიდული აქვს ელექტრონული ჟურნალი “edupage” სკოლის ინტერნეტმომსახურეობასა უზრუნველყოფს ააიპ საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია „გრენა“, ხოლო დომეინი გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად „serv.ge-სთან“.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვებ-გვერდის და სოციალური ქსელის ვიზუალური დათვალიერება კომპიუტერების შესყიდვის და გადაცემის დოკუმენტები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით,. შენობა აღჭურვილია თანამედროვე ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით: განგაშის ღილაკებით, სახანძრო დეტექტორებით, ცეცხლმაქრებით, ნიშნულებით-საევაკუაციო გასასვლელების მითითებით. შენობაში ცეცხლმაქრები განთავსებულია საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ ადგილებში. სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „საგანგებო კრიზისული სიტუაციების მართვა“ და „საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა“, რომლებიც სხვა საგანგებო სიტუაციებთან ერთად ითვალისწინებს მათ შორის ხანძრის შემთხვევაში მოქმედებას/რეაგირებასა და ამ რეაგირებაზე პასუხისმგებელ პირებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება სასაქონლო ზედნადები -ცეცხლმაქრების დამუხტვაზე „საგანგებო კრიზისული სიტუაციების მართვა“ „საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა“,
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმები. საევაკუაციო გეგმა დამზადებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგები სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ-სახელმწიფო რეზერვების და სამოქალაქო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების ინსტრუქტაჟი/ პროტოკოლი. სკოლას ჰყავს ორი ექიმი. ერთი N6 კორპუსსი და მეორე N1 და N2 კორპუსებში. სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის ორი კაბინეტი, სადაც განთავსებულია შემდეგი ინვენტარი: მაგიდა, საწოლი, ონკანი ნიჟარით, კარადა, პირველადი მოხმარების მედიკამენტებით, რომლებიც სისტემატიურად ახლდება. ორივე ექიმი აწარმოებს ვიზიტორთა ჩაწერის წიგნებს. შპს ,,წმიდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლას“ საქართველოში ახალი კორონა ვირუსით გამოწვეულ ინფექციის (COVID-19) პრევენციის მიზნით, შემუშავებული აქვს ინფექციური დაავადებების მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა. რეკომენდაციების შესაბამისად, ხდება სკოლაში ვიზიტორთა აღრიცხვა და ტემპერატურის შემოწმება, შენობის შესასვლელში განთავსებულია დეზობარიერები და სადიზენფექციო სითხის მოწყობილობები, შენობაში გამოკრულია ვირუსის პრევენციის ამსახველი პოსტერები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება დირექტორის ბრძანება -შპს ,,წმიდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლის“ ინფექციური დაავადებების მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან	სკოლის დაცვას უზრუნველყოფს დაცვის 6 თანამშრომელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების " შესაბამისად შემუშავებული აქვს შპს ,,წმიდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლის" უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები, რომელიც გაგზავნილია დასამტკიცებლად სამინისტროში, თუმცა ვიზიტის პერიოდისთვის ჯერ არ არის დამტკიცებული. გარდა ამისა სკოლას ყავს უსაფრთხო სკოლის მენეჯერი და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები, რომელთა მოვალეობაა სკოლის მოსწავლეთა და თანამშრომელთათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შპს ,,წმიდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლის "უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობების შიდა და გარე პერიმეტრი სრულად კონტროლდება ვიდეოკამერებით. კამერების მონიტორინგს უწევს დაცვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	თანამშრომელი და უსაფრთხო სკოლის მენეჯერი. სკოლის შენობების შიდა სივრცის ვიდეოდათვალიერება ხდება 71 ვიდეოკამერის საშუალებით. მათგან 39 დამონტაჟებულია N6 შენობაში, 32 - N1 და N2 შენობებში. შიდა კამერები გარდა დერეფნებისა დამონტაჟებულია კლასებშიც. კლასების კამერებთან დაკავშირებით სკოლამ განმარტა, რომ იყენებენ მხოლოდ ტესტირებების დროს, გადაწერის პრევენციის მიზნებისთვის. სკოლას მიეცა რეკომენდაცია მოხსნას კამერები საკლასო ოთახებიდან. სკოლის გარე პერიმეტრს აკონტროლებს 25 კამერა. მათგან N6 შენობას 15 კამერა, (მათ შორის 5 კამერა ვერანდაზეა), ხოლო N1 და N2 შენობებს 10 კამერა. გარე კამერების პარამეტრები შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება კამერების შეყიდვის ზედნადებები:
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,, წმიდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემუშავებული აქვს იურდიული პირის წესდება, სკოლის დებულება და შინაგანაწესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წესდებით განსაზღვრულია: სკოლის სახელი, იურდიული მისამართი, საქმიანობის სფერო, საფინანსო წელი, სკოლის დამფუძნებლები, გადაწყვეტილების მიღების წესები, სკოლის დირექტორის ფუნქცია-მოვალეობები, ლიკვიდაცია და დასკვნითი დებულებები. სკოლის დებულებაში გაწერილია სკოლის მიზნები, ამოცანები, უფლებამოსილების და მართვის პრინციპები, სკოლის სტრუქტურა და მართვა, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, აგრეთვე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხები. სკოლის დებულება დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს: სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, სამუშაო და დასვენების დროს, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმებს და ფარგლებს, შრომითი ურთიერთობის წარმოშობას, შეწყვეტას, შრომითი ურთიერთობის პირობებს, შრომის ანაზღაურების გაცემის, შვებულების ხანგრძლივობისა და მისი გაცემის წესებს; წახალისების ფორმებს. დასაქმებულთა და მოსწავლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის წესებს, მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვისა და სკოლიდან გადაყვანის პირობებს, დასაქმებულისა და მოსწავლის ჩაცმულობის წესს განაცხადის/საჩივრის განხილვის წესს, შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებულ ზოგად ინსტრუქციებს, ექსკურსიის ორგანიზებას და დასკვნით დებულებებს. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. სკოლის შინაგანაწესი განთავსებული ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. შიმაგანაწესი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურული ერთეულების მუშაობის მარეგულირებელი დოკუმენტები: პედსაბჭოს დებულება, კათედრის დებულება, დამრიგებლის დებულება, მშობელთან ურთიერთობის დებულება, ლაბორტორიით სარგებლობის წესი და სხვა..

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შპს ,, წმიდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლის“ წესდება; სკოლის შინაგანაწესი; სკოლის დებულება; სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები; დირექტორის ბრძანება სკოლის დებულების და შინაგანაწესის დამტკიცებაზე
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო და ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმები. სკოლის სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს 2021-2027 წლების სტრატეგიული განვითარების ექვსწლიან გეგმას, რომელიც სკოლის მისიიდან და სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარეობს და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად. სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულია ზოგადი, ფუნდამენტური პრინციპები და სტრატეგიული პრიორიტეტები. სტრატეგიული გეგმა შემუშავდა სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების (SWOT) ანალიზის საფუძველზე. ვიზუალური დათვალიერებით ნათლად ჩანს რომ, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა. 6 წლიანი გეგმით განსაზღვრულია მატერიალური რესურსების მუდმივი განახლების და სრულყოფის აქტივობები, როგორიცაა: სკოლის არსებული ინფრასტრუქტურის შენარჩუნება განვითარება; IT ინფრასტუქტურის შეძენა და განახლება; გამწოვის დამონტაჟება ლაბორატორიებში, ლიფტის დამონტაჟება ე.წ. ადმინისტრაციულ კორპუსში (N1 და N2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შენობები საკადასტრო რუკაზე) ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება, სხვადასხვა სასწავლო რესურსების შეძენა/შექმნა, ინვენტარის და სხვა მასალების შეძენა (საჭიროებისამებრ, მათ შორის მერხები, სკამები, დაფები, ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტების მოწყობა/შევსება ცდების ჩატარებისათვის აუცილებელი მასალებით. სამედიცინო კაბინეტის პერიოდული შევსება პირველადი დახმარებისათვის აუცილებელი პრეპარატებითა და ინვენტარით, 2020-2021 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმიდან. წინამდებარე გეგმის შესრულება შესაძლებელია ერთი წლის განმავლობაში. გეგმა ითვალისწინებს კონკრეტულ აქტივობებს, დასახული მიზნების მიღწევის ლოგიკური თანმიმდევრობას, ახდენს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს განხორციელების ვადებს. ერთწლიანი გეგმით განსაზღვრულია აგრეთვე, სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, განვითარება და აღჭურვა. კერძოდ, სკოლის კეთილმოწყობა, არსებული მდგომარეობის შენარჩუნება და განვითარება, რესურსოთახის საჭირო ინვენტარით, ლაბორატორიების აღჭურვა ხდებისთვის საჭირო მასალებით და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა 2021-2027 წლების სტრატეგიული გეგმა ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,წმიდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლას“, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებილი აქვს სკოლის ,,საქმისწარმოების ერთიანი წესი“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შპს „წმიდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლის“ ერთიანი საქმისწარმოების წესი მტკიცდება დირექტრის ბრძანებით და მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა ხორციელდება ამავე წესით. წინამდებარე წესი ვრცელდება სკოლის ყველა სახის დოკუმენტაციაზე (მათ შორის ელექტრონულზე) და ყველა თანამშრომლისათვის ადგენს საქმისწარმოების ერთიან და სავალდებულო წესებს. საქმისწარმოების დროს სარეგისტრაციო ჟურნალებში ნუმერაციის ათვლა იწყება ყოველი წლის სექტემბერში, გარდა შრომითი ხელშეკრულებებისა, რომლის ნუმერაციის ათვლა იწყება ყოველი წლის ივლისის თვეში. დოკუმენტბრუნვა მოიცავს სამი სახის დოკუმენტაციას: ა) შემოსული დოკუმენტაცია; ბ) გასული დოკუმენტაცია; გ) შიდა დოკუმენტაცია სკოლაში იწარმოება საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი, გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟრნალი, მოსწავლეთა ბრაძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი, ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. სკოლის ყველა აქტი და ოფიციალური წერილი ფორმდება სატიტულო ფურცელზე, რომელის შემუშავება ხორციელდება სკოლის ხელმძღვანელობით, საქმისმწარმოებლის მიერ. ყოველ ბლანკს გააჩნია სათანადო რეკვიზიტები, რომელთა სისწორეზეც პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. საქმისწარმოების ჟურნალები დანომრილია,ზონარგაყრილია, დამოწმებულია სკოლის ბეჭდით და დირექტორის ხელმოწერით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი მოსწავლეთა ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ხელშეკრულებების სარეგისტრაციო საქაღალდე შპს „წმიდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლის“ ერთიანი საქმისწარმოების წესი
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	**კლასებიდან კამერების მოხსნის რეკომენდაცია**
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალი„ზი	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განსახორციელებლად საჭირო რაოდენობის ადამიანური რესურსი. მართვის საინფორმაციო სისტემის e-school - ის მიხედვით სკოლაში 176 თნამშრომელია, მათ შორის 96 მასწავლებელი. სკოლის დანარჩენ თანამშრომლებს წარმოადგენენ: დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი, დაწყებითი საფეხურის მენეჯერი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის ექიმი, თერაპევტი ფსიქოლოგი (2), IT სპეციალისტი, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, უსაფრთხო სკოლის მენეჯერი, ბიბლიოთეკარი (რომელიც ამავე დროს მასწავლებელიცაა), მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი, დაცვა (6), მასწავლებლის ასისტენტი (3), მასწავლებლის დამხმარე (2), ქოუჩი კლასის მეთვალყურე (14), წრის ხელმძღვანელი (4), მებაღე, მზარეული, მზარეულის დამხმარე (7), დამლაგებელი (23) და 6 თანამშრომელი, რომლებიც, იმის გამო, რომ ბაზაში მათი თანამდებობის შესაფერისი თანამდებობა არ არის მონიშნული „სხვა“ პოზიციით არიან აღრიცხულები. მათგან 2 წარმოადგენს სკოლის აკადემიურ დირექტორს, ასევე ადმინისტრატორს, ფინანსურ მენეჯერს, ოფისმენეჯერს, საბაზო-საშუალო საფეხურის მენეჯერს. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები გაწერილია სკოლის დებულებაში. მასწავლებელთა რესურსი საკმარისია სასკოლო საათობრივი ბადით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	E-school-ის ბაზის მონაცემები; შრომითი ხელშეკრულებები; შრომითი ხელშეკრულებების გატარების ჟურნალი; საათობრივი ბადე, მასწავლებელთა დატვირთვით; სკოლის დებულებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	96
მოწვეული/მაძიებელი	38/6

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

პრაქტიკოსი მასწავლებლი	4
უფროსი მასწავლებლი	48
წამყვანი მასწავლებლი	0
მენტორის სტატუსი	0

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „წმიდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლის“ მასწავლებლების პირადი საქმეების გაცნობის შედეგად დგინდება, რომ ისინი შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის შესაბამისად. სკოლაში, სასკოლო სასწავლო გეგმითა გათვალისწინებულ ყველა საგნის სწავლებას უზრუნველყოფენ პირები, რომლებსაც „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვთ საგნის ან საგნობრივი ჯგუფის სწავლების კვალიფიკაცია, ან არიან მოწვეული/მაძიებელი მასწავლებლები. მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ ცნობები ჯანმრთელობის, ნასამართლეობის და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	E-school -ის ბაზა; თანამშრომელთა პირადი საქმეები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი	შპს,, წმიდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლის“ შინაგანაწესით, განსაზღვრულია რეგულაციები თანამშრომლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მიმოხილვა და ანალიზი	შერჩევის, მიღება/გათავისუფლების ასევე წახალისებისა და დისციპლინური სანქციების შესახებ. თავი IV „შრომითი ურთიერთობის წარმოშობა და შეწყვეტა“ - განსაზღვრავს: დასაქმებულის სკოლასთან შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა ხელშეკრულების საფუძველზე, სკოლაში მასწავლებლის მიღება ხდება კონკურსის წესით. სკოლაში შექმნილია მუდმივმოქმედი კომისია და სკოლის მიერ შემუშავებულია მასწავლებლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი. აღნიშული წესის თნახმად, კონკურსის შესახებ განაცხადი უნდა გამოქვეყნდეს საჯაროდ, ინტერნეტსივრცეში არსებულ დასაქმების ვებგვერდზე - http://teacherjobs.ge -ზე. კონკურსის ჩატარების ეტაპებად ამ წესში განსაზღვრულია: ა) საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით კანდიდატების მიერ წარდგენილი განაცხადების გადარჩევა; ბ) შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება; გ) სხვა ეტაპები, რომლებსაც დაადგენს სკოლა (მაგ: საჩვენებელი გაკვეთილი); სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ რადგან წესი მუდმივმოქმედია, და ყოველი კონკურსის წინ არ უწევთ ახალი წესის დამტკიცება, მიზანშეწონილი იქნება კონკრეტულად განსაზღვროს „სხვა ეტაპები“, რას გულისხმობს. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის (გათავისუფლების) წესი აღწერილია შინაგანაწესის მე-8 მუხლში. თანამშრომელთა წახალისების ფორმები შინაგანაწესის მე-13-15 მუხლებით რეგილირდება. წახალისების ფორმებია: მადლობის გამოცხადება; საპატიო სიგელით დაჯილდოვება; ფასიანი საჩუქრის გადაცემა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემა; შინაგანაწესში ასევ გაწერილია დიციპლინარული წარმოების წესი თავი VIII), დისციპლინური გადაცდომის განხილვის უფლებამოსილება აქვს სკოლის დირექტორს. მოცემულია დასაქმებულის მიერ დისციპლინარული გადაცდომის სახეები, რომელშიც დეტალურადაა განხილული სკოლაში შესაძლო დისციპლინური გადაცდომები, ცალკე მუხლში მოცემულია დისციპლინური სახდელები, ხოლო კონკრეტულ გადაცდომას რა დისციპლინური სახდელი შეესაბამება, გადაწყდება კონკრეტული შემთხვევის, სიმძიმის, ხასიათის, გარემოებების, დასაქმებულისა და სკოლის ინტერესიდან გამომდინარე. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, გამჭვირვალობის, თანამშრომელთა ნდობის ხარისხის გაზრდის უზრუნველყოფის მიზნით სასურველია სკოლას გათვალისწინებული ჰქონდეს კონკრეტული გადაცდომისთვის კონკრეტული სახდელი, ასევე, რა გარემოებები შეიძლება იყოს დამამძიმებელი ან/და შემამსუბუქებელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შპს ,,წმიდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლის შინაგანაწესი შპს ,,წმიდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლის'' მასწავლებლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „ წმიდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლის“ ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც შედგენილია საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად. ხელშეკრულება მოიცავს ინფორმაციას: ხელშეკრულების ნომერი, ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლებები და მოვალეობები, შრომის ანაზღაურების პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობები, სამუშაო ადგილი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, შვებულების მიცემის წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობები, პერსონალური მონაცემების დამუშავება-გავრცელების წესი, სხვა პირობები და მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	გაფორმებული ხელშეკრულებები
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „წმიდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლაში“ შემუშავებულია „პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმი“ დოკუმენტის მიხედვით, სამი მიმართულებით (საგნის პედაგოგთა და დამრიგებელთა პროფესიული განვითარება“, მოსწავლეებში სწავლა/სწავლების ხარისხის ამაღლება“ და „სკოლის კულტურის გაუმჯობესება“) ხდება შესაბამისი ადამიანური რესურსის საჭიროებათა დადგენა, განისაზღვრება, საჭირო რესურსი და პროფესიული განვითარების ნაბიჯები, რომელთა განხორციელება ხელს უწყობს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას. ხარისხის მართვის მენეჯერმა, ასევე წარმოადგინა პედაგოგების მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გავლილი ტრენინგების ნუსხა, მათ შორის უფასო ტრენინგები, რომელსაც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა განახორციელა და განახორციელებს მიმდინარე წელს და სკოლის დაფინანსებით, რომელიც განახორციელა MACgeorgia-მ, future Laboratory-მ, მართვის აკადემიამ. „ინკლუზიური განათლების“, „რთული ქცევის მართვის“, „თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების“, მიმართულებით, ასევე სკოლის არაპედაგოგმა თანამშრომლებმა გაიარეს ტრენინგები „შრომის უსაფრთხოების“ და „დასუფთავების“ მიმართულებით. გარდა ამისა ჩატარდა შიდასასკოლო ტრენინგები და საინფორმაციო საკონსულტაციო შეხვედრები. ყოველივე ეს ასახულია ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიშში. გარდა ამისა სკოლის ბაზაზე, პროფესიული განვითარების მიზნით სკოლაში ეწყობა სამუშაო და საინფორმაციო შეხვედრები როგორც ერთი კათედრის მასწავლებლებს შორის, ასევე სხვადასხვა კათედრის მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობის, მათ შორის გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფარგლებში. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი და დამტკიცებულია მათი დებულება. დებულების მიხედვით ჯგუფს ევალება მასწავლებლის მიერ პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული მოვალეობების შესრულების შეფასება და ასევე გაკვეთილზე დასწრება და მასწავლებლისთვის განმავითერებელი შეფასებების მიცემა. ყოველივე ეს აქტივობა ქმნის სკოლის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობ მექანიზმებს
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შპს „წმიდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლის“ „პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმი“; ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დებულება; ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიში.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	პედაგოგებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრების, საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და ავტორიზაციის ვიზიტისას მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დგინდება, რომ შპს „წმიდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლაში“ არის დაცულობის, კეთილგანწყობისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. შინაგანაწესის, სტრატეგიული გეგმების და სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ზრუნავს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შესაქმნელად. თანამშრომლებთნ გასუბრებითა, ასევე დგინდება, ინიციატივა და სიახლის დანერგვა მაქსიმალურად ხელშეწყობილია ადმინისტრაციის მხრიდან. რაც უკეთესი თანამშრომლობითი გარემოს შექმნის მოტივატორია. სკოლის ყველა თანამშრომელსა და მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს გამოკითხვებში, თავისუფლად გამოთქვას აზრი და გამოხატოს სურვილები, რაც გათვალისწინებული იქნება სკოლის მიერ. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლე დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე სკოლაშია, დაკავებულია სხვადასხვა აქტივობებით, დავალებებს სკოლაში ამზადებს, დაცულია, რაც კომფორტულია მშობლისთვისაც. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში ბევრი თანამშრომელია, სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საზოგადოების თვითოეული წევრი მნიშვნელოვანი რგოლია საგანმანათლებლო პროცესის და მთლიანად სკოლაში განხორციელებული საქმიანობის. კადრი კი, რომელმაც იცის საკუთარი მოვალეობები და შესაძლებლობა აქვს რეალიზება გაუკეთოს თავის შესაძლებლობებს, საფუძველია, რომ სკოლაში იყოს დაცულობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	პედაგოგებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრება. სასკოლო დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	1. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ კონკურსის ჩატარების დროს კონკრეტულად დაადგინოს კონკურსის ეტაპები, რადგან ჩანაწერი: „სხვა ეტაპები რომელსაც განსაზღვრავს სკოლა“ ტოვებს ისეთ სივრცეს, რომ სხვადასხვა შემთხვევაში კონკურსის განსხვავებული ეტაპები განხორციელდეს. 2.სანქციების სისტემის მეტი გამჭვირვალობის მიზნით, უკეთესია შინაგანაწესში გაიწეროს კონკრეტულ გადაცდომაზე კონკრეტული სახდელები და ასევე, რა შეიძლება ჩაითვალოს დისციპლინური გადაცდომის სიმძიმედ ან/და ხარისხად.
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

ქ. თბილისი. 30.08.2021.

(შევსების ადგილი) თარიღი
გვერდების რაოდენობა 52

52

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.